ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 9

ქ. ლანჩხუთი **20.10.2022**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, კარლო კვიტაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, გოჩა ჯანაშია, ვლადიმერ ნანაძე, კახაბერ ასკურავა,

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გივი ცინცაძე, გიორგი ჩახვაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4.სხვადასხვა

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (წარმოგიდგენთ დანართის სახით) მომართა ა(ა)იპ რუდუნის“ დამფუძნებელმა სოფიო ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა რომ 2021 წლის 2 თებერვლიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (ბრძანების N 30.30210611 02/03/2022) ა (ა)იპ ,,რუდუნს“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კერძოდ, ქ. ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი სასტუმრო) მესამე სართულზე მდებარე N126-43,90 კვ.მ ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.216). ამჟამად ა(ა)იპ-ი არ საჭიროებს მის სარგებლობაში არსებულ მუნიციპალურ ქონებას. **ამიტომ მათი** სურვილია გაუქმდეს ა(ა)იპ ,,რუდუნისთვის“ მინიჭებული ქონების სარგებლობის უფლება.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიას“ (ს/ნ 433652843) წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ, რომელმაც მისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა რუდუნის მიერ გათავისუფლებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N126 - ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.51.005 01/216) მესამე სართულზე მდებარე 43.90 კვ.მ. N216 ოთახი.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ,,ონკოქეა ჯორჯიას“, რომ დაწესებულებამ შესძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 7; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 4 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოს წერილი 5/55066, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიის კერძოდ: გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე გვიმბალაურის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 70.56 კვ.მ (ს/კ 27.08.46.002.01.500) ფართი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩიბათის

ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 159.66 კვ.მ (ს/კ 27.09.46.013.01.500) ფართი და მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მამათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე არსებული 78.80 კვ.მ (ს/კ 27.01.42.015.01.503) ფართი უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც მოხდება „სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 108 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობანაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 121 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ზემოთხსენებული უძრავი ქონებებიდან მამათის ადმინისტრაციულ შენობა ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე 78.80 კვ.მ (ს/კ 27.01.42.015.01.503) ფართი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას, აღნიშნული ქონება არ გამოყენება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ს/კ 27.08.46.002.01.500, 27.09.46.013.01.500 სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა ხოლო ს/კ 27.01.42.015.01.503 რეგისტრირებულ უძრავ ქონების კატეგორია ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებიდან შეეცვალოს დამატებითი ქონების სახით, რის შემდგომაც მოხდეს სახელმწიფოსათვის გადაცემა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 7; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2022 წლის 21 სექტემბრის 10/302226440-30 წერილით, მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომელმაც „სპორტული მუზეუმის“ მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა 37 - ში მდებარე შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე

მდებარე: 19 – 21.06 კვ.მ; 28 – 36,99 კვ.მ; 29 – 10,09 კვ.მ. და 30 – 21,03 კვ.მ. ოთახების (საერთო ფართით 89,17 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა 37 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 89,17 კვ.მ ფართი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 7; წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა,რომ ვინაიდან ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ჯაპანა, ქვიანი, ჭყონაგორა, ჩოლობარგი) არ არსებობს სანიაღვრე არხები, მოსახლეობა არის ურთულეს მდგომარეობაში. იტბორება ოჯახები, რისი დამადასტურებელი ფოტო მასალაც არსებობს. არის უბნები და ქუჩები, სადაც სტიქიის დროს მდინარესავით მოედინება წყალი. მისი თქმით, ასევე რთული მდგომარეობაა რკინიგზის ბაქანზე. **ე.წ ნიგოითის სადგური,** რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის თავშეყრის ადგილია, ავარიულ მდგომარეობაშია. სამწუხაროდ ადვილი შესაძლებელია, რომ მისი ჩამონგრევა მსხვერპლით დასრულდეს.

დეპუტატმა ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ ქ.ლანჩხუთში თამარ მეფის ქუჩაზე დაზიანებულია და მოწესრიგებას საჭიროებს ასფალტის საფარი.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სოფ. ჩოლობარგში, ავტობანთან მისასვლელი გზა, რომელიც დაახლოებით 700 მეტრია, არის კატასტროფულ მდგომარეობაში. აუცილებელია მოხდეს საერთაშორისო გზის მიერთება სახელმწიფო მნიშვნელობის გზასთან, რომლითაც სარგებლობს ძალიან ბევრი ადამიანი.

დეპუტატმა კარლო კვიტაიშვილმა, აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ცუდი მდგომარეობა. ამიტომ რკინიგზის დეპარტამენტთან სასურველია მიღწეული იქნას შეთანხმება, რომ მათი მხრიდან მოხდეს შესაბამისი რეაგირება და იმ გვირაბებზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რომელშიც მთიდან ჩამოსული წყალი მიედინება. მან აღნიშნა, რომ ასევე სასურველია თანხვედრაში მოხდეს ორივეს მხრიდან მუშაობა,(რკინიგზის დეპარტამენტი და ადგ. მუნიციპალიტეტი) რათა საბოლოოდ შედეგი იქნას მიღებული. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთში არსებულ ახალ სკვერში დაზიანებულია ინვენტარი. იგი დაინტერესდა ჩართულია თუ არა ვიდეოთვალი, რითაც გამარტივდება იმ პიროვნებების ამოცნობა, ვინც ყოველივეს გამიზნულად აკეთებს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №9

20.10.2022 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების შესახებ.

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.10. 2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	12:00	
2	ალექსანდრე მახათაძე	12:00	
3	კარლო კვიტაიშვილი	12:00	
4	გიორგი იმნაიშვილი	12:00	
5	ვლადიმერ ნანაძე	12:00	
6	გიორგი ჩახვაძე	ს/ ინფორმაციით	
7	გივი ცინცაძე	ს/ ინფორმაციით	
8	კახაბერ ასკურავა	12:00	
9	გოჩა ჯანაშია	11:55	